მემორანდუმი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,იბერია'' და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.ქუთაისი

14 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,იბერია'' (შემდგომში „კოლეჯი") წარმოდგენილი დირექტორის თინათინ ლოსაბერიძის სახით და მეორეს მხრივ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი-ს (შემდგომში უნივერსიტეტი), წარმოდგენილი რექტორის თეონა ხუფენიას სახით, შემდგომში მემორანდუმის მხარეებად წოდებულნი, ხელმძღვანელობენ რა მოქმედი კანონმდებლობის, წესდებების, წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად, მხედველობაში იღებენ რა ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნებს, შრომის ბაზრის და განათლების სისტემის ურთიერთკავშირის ხელშეწყობას, პროფესიული განათლების განვითარების, კოლეჯსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი და საგანი

1.მემორანდუმი საგანს წარმოადგენს მხარეთა მიერ, ერთი და იგივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მობილობის პროცესის ხელშეწყობა.

2.მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას,ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და მოდულური პროგრამების ფარგლებში პროფესიულ სტუდენთა მობილობის პროცესის ორგანიზება.

3. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს კოლეჯის ან უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტს.

4. პროფესიული სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მემორანდუმის საფუძველზე მხარის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შემუშავებული წესის/წესების შესაბამისად.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა

1.მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მანამ სანამ ერთი მხარე უარს არ განაცხადებს მემორანდუმის გაუქმებაზე.

2.მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

3.მემორანდუმის თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს გადაწყვეტილება მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ აცნობოს სულ ცოტა ერთი თვით ადრე მაინც.

4.მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე, მემორანდუმის ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი ნების გამოხატვის საფუძველზე, მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულების გამო.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1.მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმებული ცვლილებები ან დამატებები უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და დაერთოს წინამდებარე მემორანდუმს.

2.მემორანდუმის მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად,რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მემორანდუმის თითოეულ მხარეს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

სსიპ სზოგადოებრივი კოლეჯი,, იბერია"	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
მის.ქ.ქუთაისი ნიკეას ქ. #12	მის: ქ. ზუგდიდი ჯანაშიას ქ. # 14
ს/კ 2012682051	საკონტაქტო ნომერი: 577419041
მობ. 577788303	
დირექტორი:	
თინათინ ლოსაბერიძე	რექტორი: თეონა ხუფენია
---	---
(ხელმოწერა,ბეჭედი)	(ხელმოწერა,ბეჭედი)